



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 5 სექტემბერი
№ 740 დადგენილებით
მოდულიზებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 22 ივლისის
01-05-04/208 დადგენილება

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

BusinessAdministration

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technologies

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ირინე იაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration – MBA)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ინგლისურ ენაზე).

გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე:

<http://www.gtu.ge/study/index.php>

გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 80 კრედიტი, მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 10 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და დასკვნითი გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

პირველი სემესტრი მოიცავს ხუთ სავალდებულო სასწავლო კურსს (თითოეული 6 კრედიტი).

მეორე სემესტრი მოიცავს ექვს სავალდებულო სასწავლო კურსს (ერთი 6, ოთხი 5 და ერთი - 4 კრედიტი).

მესამე სემესტრი მოიცავს სამ სავალდებულო (6, 5 და 4 კრედიტი), ერთ არჩევით (5 კრედიტი) სასწავლო კურსს და საწარმოო პრაქტიკას (10 კრედიტი).

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად (მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_Sd.pdf

შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, აქედან: შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 15 ქულა; მიმდინარე აქტივობის შეფასებაა მაქსიმალური 30 ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 15; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი - 20 ქულა.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შემდეგ მინიმუმ 5 დღიანი შუალედით.

კვლევითი კომპონენტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).

მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf

პროგრამის მიზანი

ინოვაციებზე დამყარებული ბიზნესის სფეროს ღრმა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და ძლიერი მენეჯერების მომზადება, რომლებიც განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეძლებენ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეფასებას და დინამიურ გარემოში საქმიანობას.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. კერძოდ: სიღრმისეულად იცის: სტრატეგიული, ფინანსური, მარკეტინგის, ინოვაციური, დროის, პროექტის, გაყიდვების და საერთაშორისო მენეჯმენტი. ბიზნესის სტატისტიკა და ბიზნესის კვლევისა და ბიზნესის პროგნოზირების მეთოდები.

სტუდენტი აცნობიერებს:

ბიზნესის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გარემოში მოქმედება. კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, სტრატეგიის შემუშავება და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

დასკვნის უნარი - სტუდენტს შეუძლია მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია; ეკონომიკური გარემოს ზემოქმედების შეფასების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი - სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების და პროგნოზირების, ბიზნესის სტატისტიკისა და კვლევის მეთოდების შესახებ არგუმენტაცია, დასკვნის გაკეთება და პრეზენტირება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით; კომუნიკაცია უცხოელებთან, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან, ლაკონური, ლოგიკური და ეფექტური წერილობითი შეტყობინების პროდუცირების სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ადრესატისათვის ადეკვატურად კომპრესირებული და სათანადოდ ჩამოყალიბებული წერილობითი ინფორმაციის მიწოდებისას.

სწავლის უნარი - სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირებისა და პროგნოზირების, სტრატეგიული, ინოვაციური და დროის მენეჯმენტის, თავისებურებების სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და გაცნობიერება; შემდგომი სწავლის საჭიროების დონეზე დაგეგმვა;

ღირებულებები - სტუდენტს შეუძლია პროფესიული და ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების, ბაზარზე პოზიციონირებისათვის კომპანიის ფასეულობების, ორგანიზაციული კულტურის და სოციალური პასუხისმგებლობისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2 მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის

მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამალვებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები, რომელსაც განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში: შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა – 60, აქედან:

მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40, მინიმალური დადებითი ქულაა – 20. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა. კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- ბიზნეს კომპანიები
- საჯარო დაწესებულებები;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- უცხოეთის ბიზნეს კომპანიები

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 18

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	საქმიანი ენა	არ აქვს	6			
2	საერთაშორისო მარკეტინგი	არ აქვს	6			
3	ფინანსური მენეჯმენტი	არ აქვს	6			
4	მარკეტინგ-მენეჯმენტი	არ აქვს	6			
5	ბიზნეს-სტატისტიკა	არ აქვს	6			
6	საერთაშორისო მენეჯმენტი	არ აქვს		6		
7	პროექტების მენეჯმენტი	არ აქვს		4		
8	კვლევის მეთოდები	ბიზნეს-სტატისტიკა		5		
9	ინოვაციური მენეჯმენტი	მარკეტინგ-მენეჯმენტი		5		
10	გაყიდვების მენეჯმენტი	მარკეტინგ-მენეჯმენტი		5		
17	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	არ აქვს		5		

11	სტრატეგიული მენეჯმენტი	კვლევის მეთოდები			6	
12	ლოგისტიკა	პროექტების მენეჯმენტი			4	
18	ორგანიზაციის მენეჯმენტი	ფინანსური მენეჯმენტი			5	
13	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	სასწავლო კურსის 45 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში დაიშვება პრაქტიკაზე			10	
არჩევითი სასწავლო კურსები						
14	დროის მენეჯმენტი	არ აქვს				
15	ტურიზმის ბიზნესი	არ აქვს			5	
16	ბიზნეს-პროგნოზირება	არ აქვს				
სემესტრში			30	30	30	
სულ:						
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კომპონენტები				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH10113E1-P	საქმიანი ენა	6/150			60					1	2	87
2	BUA52013G1-LS	საერთაშორისო მარკეტინგი	6/150	30	30						1	2	87
3	BUA23613G1-LSPK	ფინანსური მენეჯმენტი	6/150	30	15	25				5	1	2	72
4	BUA52113G1-LSK	მარკეტინგ-მენეჯმენტი	6/150	15	15					15	1	2	102
5	MAS20913G1-LSP	ბიზნეს-სტატისტიკა	6/150	30	15	15					1	2	87
6	BUA30913G1-LSK	საერთაშორისო მენეჯმენტი	6/150	15	15					15	1	2	102
7	BUA47013G1-LS	პროექტების მენეჯმენტი	4/100	15	15						1	1	68
8	EDU10613G1-LSP	კვლევის მეთოდები	5/125	30	10	5					1	2	77
9	BUA39013G1-LSP	ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	30	12	3					1	2	77
10	BUA52213G1-LS	გაყიდვების მენეჯმენტი	5/125	15	30						1	2	77
11	BUA46313G1-LSK	სტრატეგიული მენეჯმენტი	6/150	30	15					15	1	2	87
12	BUA52313G1-LSB	ლოგისტიკა	4/100	15	10		5				1	1	68
13	BUA47213G1-R	საწარმოო პრაქტიკა	5/125			15		30			1	1	78

		ბიზნესის ადმინისტრირებაში										
14	BUA31513G1-LS	დროის მენეჯმენტი	5/125	15	30					1	2	77
15	BUA46413G1-LS	ტურიზმის ბიზნესი	5/125	30	15					1	2	77
16	BUA46513G1-LP	ბიზნეს-პროგნოზირება	5/125	30		15				1	2	77
17		ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	30	15					1	2	77
18		ორგანიზაციის მენეჯმენტი	5/125	30	15					1	2	77

პროგრამის ხელმძღვანელი

ირინე იაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
03.09.2012წ. ოქმი №7
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდირიგებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28 მარტი 2018 წელი, ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

პროგრამის სწავლის შედეგი¹

<p>სასწავლო კურსი</p>	<p>სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალ, ორიგინალური იდეების შეტყუვების საშუალებას. კერძოდ: სიღრმისეულად იცის: სტრატეგიული, ფინანსური, მარკეტინგის, ინოვაციური, დროის, პროექტის, გაყიდვების და საერთაშორისო მენეჯმენტი. ბიზნესის სტატისტიკა და ბიზნესის კვლევისა და ბიზნესის პროგნოზირების მეთოდები.</p> <p>სტუდენტს აქვს ბიზნესის პროგნოზირების მეთოდები.</p>
<p>ბიზნესის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;</p>	<p>სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გარემოში მოქმედება.</p>
<p>სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გარემოში მოქმედება.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, სტრატეგიის შემუშავება და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად</p>
<p>სტუდენტს შეუძლია მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p>	<p>სტუდენტს შეუძლია მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია; ეკონომიკური გარემოს ზემოქმედების შეფასების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.</p>
<p>სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების და პროგნოზირების, ბიზნესის სტატისტიკისა და კვლევის მეთოდების შესახებ არგუმენტაცია, დასკვნის გაკეთება და პრეზენტირება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით;</p>	<p>სტუდენტს შეუძლია უცხოეთებთან, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან, ლაკონური, ლოგოკური და ეფექტური წერილობითი შეტყუვების პროდუქციების სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ადრესატისათვის ადეკვატურად კომპრესირებული და სათანადოდ ჩამოყალიბებული წერილობითი ინფორმაციის მიწოდებისას.</p> <p>სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების და პროგნოზირების, სტრატეგიული, ინოვაციური და დროის მენეჯმენტის, თავისებურებების სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და გაცნობიერება; შემდგომში სწავლის საჭიროების დონეზე დაგეგმვა;</p> <p>სტუდენტს შეუძლია პროფესიული და ბიზნეს საემიონისათვის დამახასიათებელი ღირებულებების, მათ შორის, პოზიტივისათვის კომპანიის ფასეულობების, ორგანიზაციული კულტურის და სოციალური პასუხისმგებლობისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გარმაკება - 2; განმტკიცება - 3.

საქმიანი ენა	1,2	1,2	1,2	1,2			1,2	1,2	1,2	
საერთაშორისო მარკეტინგი	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2		1,2
ფინანსური მენეჯმენტი	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2			1,2	
მარკეტინგ-მენეჯმენტი	1,2	1,2	1,2	1,2			1,2	1,2		1,2
ბიზნეს-სტატისტიკა	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2			1,2	
საერთაშორისო მენეჯმენტი	1,2	1,2	1,2	1,2			1,2	1,2	1,2	1,2
პროექტების მენეჯმენტი	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	1,2	
კვლევის მეთოდები	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ინოვაციური მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	
გაყიდვების მენეჯმენტი	3	3	3	3			3	3		3
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	2,3	2,3	2,3	2,3	2,3	2,3	2,3	2,3	2,3	2,3
სტრატეგიული მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ლოგისტიკა	3	3	3	3	3	3				
ორგანიზაციის მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა²

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ამლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. კერძოდ: სიღრმისეულად იცის: სტრატეგიული, ფინანსური, მარკეტინგის, ინოვაციური, დროის, პროექტის, გაყიდვების და საერთაშორისო მენეჯმენტი. ბიზნესის სტატისტიკა და ბიზნესის კვლევისა და ბიზნესის პროგნოზირების მეთოდები.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გაერეში მოქმედება.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გაერეში მოქმედება.</p>	<p>კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, სტრატეგიის შემუშავება და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p>	<p>მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია; ეკონომიკური გარემოს ზემოქმედების შეფასების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების და პროგნოზირების, ბიზნესის სტატისტიკისა და კვლევის მეთოდების შესახებ არგუმენტაცია, დასკვნის გაკეთება და პრეზენტირება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით;</p>	<p>კომუნიკაცია უცხოელებთან, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან, ლაკონური, ლოგიკური და ეფექტური წერილობითი შეტყობინების პროდუქციების სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ადრესატისათვის ადეკვატურად კომპარირებული და სათანადოდ ჩამოყალიბებული წერილობითი ინფორმაციის მიწოდებისას.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირებისა და პროგნოზირების, სტრატეგიული, ინოვაციური და დროის მენეჯმენტის, თავისებურებების სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და გაცნობიერება; შემდგომი სწავლის საჭიროების დონეზე დაგეგმვა;</p>	<p>- სტუდენტს შეუძლია პროფესიული და ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების, ზაზარზე პოზიციონირებისათვის კომპანიის ფასეულობების, ორგანიზაციული კულტურის და სოციალური პასუხისმგებლობისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
--------------------------	--	--	--	--	---	--	--	---	--	---

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

ინოვაციებზე დამყარებული ბიზნესის სფეროს ღრმა თეორიული ცოდნისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და ძლიერი მენეჯერების მომზადება.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ინოვაციებზე დამყარებული ბიზნესის სფეროში პრაქტიკული მუშაობის უნარის მქონე, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და ძლიერი მენეჯერების მომზადება, რომლებიც განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეძლებენ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეფასებას და დინამიურ გარემოში საქმიანობას.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.